პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 56 (9524) | შაბათი, 7 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.


ამ გლოვის დღეებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება დიად ძმურ ოჯახში ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ც. კ-ის, სსრკ მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვიდან.

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომისა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ჩვენი პარტიისა და ქვეყნისათვის ამ ძნელ დროს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრების შეუფერხებელი და სწორი ხელმძღვანელობა, რაც თავის მხრივ მოითხოვს ხელმძღვანელობის უდიდეს დარაზმულობას, რაიმე დაბნეულობისა და პანიკის არდაშვებას, რათა ამრიგად უთუოდ უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის წარმატებით განხორციელება როგორც ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ისე საერთაშორისო საქმეებში.

ამის მიხედვით და იმ მიზნით, რომ არ იქნას დაშვებული რაიმე შეფერხება სახელმწიფო და პარტიული ორგანოების მუშაობისადმი ხელმძღვანელობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საჭიროდ ცნობენ განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებანი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ორგანიზაციის დარგში.

### I
### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის პირველი მოადგილეების შესახებ

1. დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

2. დაინიშნონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეებად ამხანაგები ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი, ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი.

### II
### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის შესახებ

1. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ორი ორგანოს — პრეზიდიუმისა და პრეზიდიუმის ბიუროს ნაცვლად იყოს ერთი ორგანო — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი.

2. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები.

### III
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ რეკომენდებულ იქნას ამხ. კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი, ამ მოვალეობისაგან ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკის განთავისუფლებით.

* * *

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის შესახებ

1. დაინიშნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე პეგოვი და განთავისუფლებულ იქნას იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ახლანდელი მდივანი ამხ. ალექსანდრე თევდორეს-ძე გორკინი დაინიშნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილედ.

### IV
### სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ

გაერთიანდეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროდ.

### სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის შესახებ

დაინიშნოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

### V
### სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების შესახებ

1. დაინიშნოს ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად.

2. დაინიშნონ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეებად ამხ. ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი და ამხ. იაკობ ალექსანდრეს-ძე მალიკი.

3. დაინიშნოს ამხ. ვასილ ვასილის-ძე კუზნეცოვი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

4. დაინიშნოს ამხ. ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

### VI
### სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა და სამხედრო მინისტრის პირველი მოადგილეების შესახებ

1. დაინიშნოს საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი სსრ კავშირის სამხედრო მინისტრად.

2. დაინიშნონ სსრ კავშირის სამხედრო მინისტრის პირველ მოადგილეებად საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ალექსანდრე მიხეილის-ძე ვასილევსკი და საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. გიორგი კონსტანტინეს-ძე ჟუკოვი.

### VII
### საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს შესახებ

გაერთიანდეს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტრო და ვაჭრობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროდ.

### სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების შესახებ

1. დაინიშნოს ამხ. ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრად.

2. დაინიშნონ სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველ მოადგილედ ამხ. ივანე გრიგოლის-ძე კაბანოვი და მინისტრის მოადგილეებად ამხ. პავლე ნიკოლოზის-ძე კუმიკინი და ამხ. ვასილ გაბრიელის-ძე ჟავორონკოვი.

### VIII
### მანქანათმშენებლობის სამინისტროს შესახებ

გაერთიანდეს საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და დაზგათმშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — მანქანათმშენებლობის სამინისტროდ.

### მანქანათმშენებლობის მინისტრის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვი მანქანათმშენებლობის მინისტრად და განთავისუფლებულ იქნას იგი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

* * *

### სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს შესახებ

გაერთიანდეს სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტრო, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროდ.

### სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე მალიშევი სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრად.

* * *

### ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს შესახებ

გაერთიანდეს ელექტროსადგურების სამინისტრო, ელექტრომრეწველობის სამინისტრო და კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროდ.

### ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მინისტრის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მინისტრად.

### IX
### სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. გრიგოლ პეტრეს-ძე კოსიაჩენკო.

### X
### პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის შესახებ

რეკომენდებულ იქნას ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ, ამ მოვალეობისაგან ამხ. ვასილ ვასილის-ძე კუზნეცოვის განთავისუფლებით.

### XI
### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნების შესახებ

1. საჭიროდ იქნას მიჩნეული, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ცენტრალური კომიტეტის ორი ორგანოს — პრეზიდიუმისა და პრეზიდიუმის ბიუროს ნაცვლად იყოს ერთი ორგანო — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, როგორც ეს განსაზღვრულია პარტიის წესდებით.

2. ხელმძღვანელობაში მეტი ოპერატიულობის მიზნით, პრეზიდიუმის შემადგენლობა განისაზღვროს 10 წევრისა და 4 კანდიდატის რაოდენობით.

3. დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემდეგი შემადგენლობა:

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები — ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები — ამხანაგები ნ. მ. შვერნიკი, პ. კ. პონომარენკო, ლ. გ. მელნიკოვი, მ. ჯ. ბაგიროვი.

4. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეულ იქნან ამხანაგები ს. ი. იგნატიევი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი.

5. საჭიროდ იქნას მიჩნეული, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მთლიანად მუშაობდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ამასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ იქნას იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

6. დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის პირველ მდივნად.

7. განთავისუფლებულ იქნან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან ამხ. პ. კ. პონომარენკო და ამხ. ნ. გ. იგნატოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ხელმძღვანელ სამუშაოზე გადასვლის გამო და ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი — სამხედრო-საზღვაო სამინისტროს პოლიტსამმართველოს უფროსად გადასვლის გამო.

### XII
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მოწვევის შესახებ

მოწვეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1953 წლის 14 მარტს ქალაქ მოსკოვში იმისათვის, რომ განიხილოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის გადაწყვეტილებანი, რომლებიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და მთელ ქართველ ხალხს თავზარი დასცა ცნობამ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების შესახებ.

ძნელია შევურიგდეთ იმ აზრს, რომ შეწყდა კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლის, ლენინის უკვდავი საქმის ბრძენი განმგრძობის, მთელი პროგრესული კაცობრიობის მამის, მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გულისცემა.

ამხანაგ სტალინის გარდაცვალების ამბავმა უდიდესი გულისტკივილი გამოიწვია საბჭოთა საქართველოს მუშებში, კოლმეურნეებსა და ინტელიგენტებში.

ქართველი ხალხი ამხანაგ სტალინს უნდა უმადლოდეს იმას, რომ ნახევარი საუკუნის წინათ, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, ახალგაზრდა სტალინმა პირველმა აღმართა საქართველოსა და კავკასიაში მარქს — ენგელს — ლენინის დიადი დროშა. ამ დროშით, ამხანაგ სტალინის პირადი ხელმძღვანელობით, თბილისის პროლეტარიატმა 1901 წელს, კავკასიაში პირველად გაუმართა აშკარა ბრძოლა ძველ წყობილებას, მოაწყო რა მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაცია თბილისის ქუჩებში.

ამხანაგ სტალინის მიერ დაარსებული საქართველოს კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია, საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი წარმოშობის პირველი დღეებიდანვე, განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის მუშაობასა და სახელთან.

ლენინ — სტალინის დროშით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ქართველმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება და დაადგა ეროვნული აღორძინებისა და კულტურული აყვავების ფართო გზას.

ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვებანი კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

საქართველოს სსრ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია განუხრელად მიჰყვებიან კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, კარგად იციან, რომ მშვიდობის განმტკიცების საქმე, მოსახლეობის ყველა ფენის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და დაზვერვის ორგანოების ყოველი ღონისძიებით განმტკიცების საქმე, რათა მუდამ ძლიერდებოდეს ჩვენი მზადყოფნა ყოველი აგრესორისათვის გამანადგურებელი წინააღმდეგობის გასაწევად, არის საიმედო ხელში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელში.

საქართველოს კომუნისტური პარტია და მთელი ქართველი ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მოახდენენ მთელი თავიანთი ძალებისა და შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას კომუნისტური მშენებლობის საქმეში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად, კიდევ უფრო გააძლიერებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს, რადგან მტკიცედ ახსოვთ, რომ პარტიის რიგების ფოლადისებრი ერთიანობა, მონოლითურობა და დარაზმულობა პარტიის ძალისა და ძლიერების მთავარი პირობაა.

მშობლიური და საყვარელი სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა საქართველოს კომუნისტების, მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენტების გულში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

# იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

## დადგენილება

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსი

### იმის შესახებ, თუ სად დაიდგას სარკოფაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხედრით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

სარკოფაგი ი. ბ. სტალინის ცხედრით მოთავსდეს მავზოლეუმში წითელ მოედანზე, ვ. ი. ლენინის სარკოფაგის გვერდით.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

## დადგენილება

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსი

### პანთეონის — საბჭოთა ქვეყნის დიდი ადამიანების მარადიული დიდების ძეგლის აგების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

დიდი ბელადების ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის, აგრეთვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომლებიც დაკრძალული არიან წითელ მოედანზე კრემლის კედელთან, მოსკოვში აიგოს მონუმენტური შენობა — პანთეონი — საბჭოთა ქვეყნის დიდი ადამიანების მარადიული დიდების ძეგლი.

პანთეონის აგების დამთავრების შემდეგ გადატანილ იქნას იქ სარკოფაგი ვ. ი. ლენინის ცხედრით და სარკოფაგი ი. ბ. სტალინის ცხედრით, აგრეთვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს იმ გამოჩენილ მოღვაწეთა ნეშტი, რომლებიც დაკრძალული არიან კრემლის კედელთან, და გაიხსნას პანთეონი დასათვალიერებლად მშრომელთა ფართო მასებისათვის.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**, **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

## საბჭოთა ხალხი ეთხოვება დიდ ბელადს

### გუშინ კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, მთელი მსოფლიოს მშრომელებს თავს დაატყდათ უმძიმესი უბედურება: შეწყდა ამხანაგ სტალინის გულისცემა. გარდაიცვალა უდიდესი ადამიანი — უკვდავი ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი; გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის ბელადი და მასწავლებელი; გარდაიცვალა მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი მეგობარი და მასწავლებელი.

მოსკოვი გლოვობს.

კუბო ი. ბ. სტალინის ცხედრით დადგმულია კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

სამგლოვიარო კრეპით დაფარულია ბროლის ჭაღები. მარმარილოს სვეტებს შემოვლებული აქვს წითელი ტილოები, რომლებზეც გამოსახულია 16 მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის გერბები. მაღალ კვარცხლბეკზე, პალმებსა და ცოცხალ ყვავილებში, წითელ ხავერდშია კუბო ი. ბ. სტალინის ცხედრით. სიკვდილს ვერ შეუცვლია მთელი მსოფლიოსათვის ნაცნობი სახის ძვირფასი ნაკვთები. კუბოს თავზე დახრილია დიდი წითელი დროშა შავი არშიით და ზედ წარწერილი დიადი დევიზით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

კვარცხლბეკთან ატლასზე ბრწყინავენ საბჭოთა კავშირის გმირის და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავები, ორდენები და მედლები, რომლებითაც სამშობლომ დააჯილდოვა ამხანაგი სტალინი.

კუბოსთან აუარებელი გვირგვინია.

ერთ-ერთი გვირგვინის წითელ ლენტს აწერია: „კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან".

აქვეა გვირგვინები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსაგან, მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებათა კოლექტივებისაგან, ამხანაგ სტალინის ოჯახის წევრთაგან.

ნაშუადღევის 4 საათია. დაიწყო სვეტებიან დარბაზში შესვლა.

საბჭოთა ხალხი ეთხოვება თავის განსვენებულ ბელადს. სვეტებიან დარბაზში დაუსრულებელ ნაკადად შედის ხალხი. ამხანაგ ი. ბ. სტალინის კუბოსთან საპატიო ყარაულში დგებიან მისი მებრძოლი თანამოსაგრეები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მთავრობის წევრები — ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ნ. მ. შვერნიკი.

სიმფონიური ორკესტრები განუწყვეტლივ ასრულებენ ჩაიკოვსკის, ბეთჰოვენის, შოპენის, გრიგის სამგლოვიარო მელოდიებს. გლოვით, მწუხარე დუმილით მოდის ამხანაგ ი. ბ. სტალინის კუბოსთან ადამიანთა ნაკადი. მოდიან სტალინის სახელობის ქარხნის მანქანათმშენებლები და ტრიოხგორკის მქსოველები, მეცნიერები და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები, მოსკოველი მოსწავლეები და მოსკოვის მიდამოების კოლმეურნეები.

მოსკოვი, სამშობლო, მთელი პროგრესული კაცობრიობა ეთხოვება ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

მხურვალე სიყვარული, ღრმა პატივისცემა განსვენებული ბელადისა და მასწავლებლისადმი აღბეჭდილია სვეტებიან დარბაზში მოსულ ადამიანთა სახეებზე. თვალი მიპყრობილია სტალინის ძვირფას სახეზე, რათა სამუდამოდ აღბეჭდოს იგი გულში. მძიმე დანაკლისის გამო დიდად დამწუხრებულ საბჭოთა ადამიანებს ამ გლოვის დღეებში განსაკუთრებით ნათლად და მკაფიოდ აქვთ შეგნებული, რომ საჭიროა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვა პარტიის გარშემო, ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მათ განსაკუთრებით მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ძალები მოახმარონ იმ საქმისათვის ბრძოლას, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა.

უდიდესმა მწუხარებამ, უმძიმესმა უბედურებამ კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროვა და დარაზმა საბჭოთა ხალხი.

დარბაზში შემოდის დედაქალაქის მშრომელთა ათობით დელეგაცია, რათა გვირგვინებით შეამკოს ბელადის კუბო.

შემოაქვთ გვირგვინები ქარხნების, ფაბრიკების პარტიული ორგანიზაციებისაგან, მეცნიერთაგან, სამინისტროებისაგან, დაწესებულებებისაგან.

ყოველ ხუთ წუთში იცვლება საპატიო ყარაული.

საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. მიხაილოვი, პ. კ. პონომარენკო, ს. დ. იგნატიევი, ა. ბ. არისტოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი, მ. თ. შკირიატოვი.

მათ ცვლიან მოსკოვის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელები.

კუბოსთან, რომელშიც ასვენია ყველა დროისა და ყველა საუკუნის უდიდესი მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი, ვისი წინამძღოლობითაც ჩვენმა სამშობლომ მოიპოვა უდიდესი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ფაშიზმზე მეორე მსოფლიო ომში, საპატიო ყარაულში დგებიან სტალინური მარშლები — ვასილევსკი, სოკოლოვსკი, ბუდიონი, გოვოროვი, კონევი, ტიმოშენკო.

მთელ საღამოს, გვიან ღამემდე განუწყვეტლივ ნაკადად მოდიოდნენ ადამიანები სვეტებიან დარბაზში.

## ამხანაგ სტალინის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვა მოხდება ორშაბათს, ამა წლის 9 მარტს დღის 12 საათზე.

ამხანაგ სტალინის დაკრძალვის მომწყობი კომისია ყველა ორგანიზაციის საყურადღებოდ იუწყება, რომ კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შესვლა შეიძლება დილის 6 საათიდან ღამის 2 საათამდე.

## საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისაგან

### კომკავშირის ყველა წევრს, საბჭოთა კავშირის მთელ ახალგაზრდობას

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, მთელი მსოფლიოს მშრომელებს თავს დაატყდათ უდიდესი მწუხარება. გარდაიცვალა კაცობრიობის გენიოსი, ლენინის დიდი თანამებრძოლი და მეგობარი, მისი უკვდავი საქმის განმგრძობი, კომუნიზმის დაუცხრომელი მშენებელი, ჩვენი ბელადი, მშობლიური და საყვარელი მამა, საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობარი და ბრძენი მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

მთელი თავისი გმირული ცხოვრება ამხანაგმა სტალინმა მოახმარა ხალხის, პარტიის სამსახურს, ჩვენი სამშობლოს აყვავების, კომუნიზმის დიადი საქმის თავდადებულ სამსახურს. ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შექმნა კომუნისტური პარტია, აღზარდა და გამოაწრთო იგი. ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. განაგრძო რა ლენინის უკვდავი საქმე, ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დიდი გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმის შავბნელ ძალებზე. ამხანაგმა სტალინმა პარტია და მთელი ხალხი შეაიარაღა კომუნისტური მშენებლობის დიადი და ნათელი პროგრამით, უჩვენა გზა კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ. საბჭოთა ადამიანების თვითეული შრომითი წარმატება, კომუნისტური მშენებლობის თვითეული ახალი გამარჯვება გამოხატავს ჩვენი უკვდავი ბელადის ამხანაგ სტალინის სიბრძნეს, დაუცხრომელ ენერგიას, რკინისებურ ნებისყოფას.

საბჭოთა კავშირის ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, ამხანაგ სტალინის სახელი ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მახლობელი და მშობლიურია. ამხანაგ სტალინის ცხოვრება თვითეული ჩვენგანისათვის დიადი მაგალითია კომუნიზმისათვის თავდადებული ბრძოლისა.

კომკავშირელები, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ამ გლოვის დღეებში მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დებენ საქვეყნო ფიცს — კვლავაც ერთგული და მედგარი შვილები იყვნენ სახელოვანი კომუნისტური პარტიისა, იყვნენ საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები, მთელი თავისი ცხოვრება მოახმარონ ლენინ — სტალინის დიად საქმეს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

კომკავშირელები, საბჭოთა ახალგაზრდობა პირობას აძლევენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყოველთვის ფხიზელნი იქნებიან, მზად იქნებიან ყოველგვარ პირობებში სიცოცხლის დაუზოგავად დაიცვან საყვარელი საბჭოთა სამშობლო.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომკავშირელს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიის, სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მთელი ძალები, მთელი შემოქმედებითი ენერგია მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები სამუდამოდ შეინახავენ თავიანთ გულში საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის უსაზღვროდ ძვირფას დიდი სტალინის უკვდავ სახელს.

**საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი**

## დადგენილება

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო მთელ ჩვენს ქვეყანაში გამოცხადდეს გლოვა 1953 წლის 6, 7, 8 და 9 მარტს.

ამ დღეებში მოიხსნას ყველა სპექტაკლი, კინო, კონცერტი და ყოველგვარი გასართობი.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

## ი. ბ. სტალინის სხეულის პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევა

პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევისას აღმოჩნდა სისხლის ჩაქცევის დიდი კერა, რომელიც მდებარეობს თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს ქერქქვეშა კვანძების არეში. ამ სისხლის ჩაქცევამ დაშალა ტვინის დიდმნიშვნელოვანი არეები და გამოიწვია სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის შეუქცევადი დარღვევა. ტვინში სისხლის ჩაქცევის გარდა, დადგენილია გულის მარცხენა პარკუჭის მნიშვნელოვანი ჰიპერტროფია, სისხლის მრავალი ჩაქცევა გულის კუნთში, კუჭისა და ნაწლავების ლორწოვან გარსში, სისხლძარღვების ათეროსკლეროზული ცვლილებები, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერ გამოსახულია თავის ტვინის არტერიებში. ეს პროცესები ჰიპერტონიული ავადმყოფობის შედეგი იყო.

პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევის შედეგები სავსებით ადასტურებენ ი. ბ. სტალინის მკურნალ პროფესორ-ექიმების მიერ დასმულ დიაგნოზს.

პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევის მონაცემებით დადგენილ იქნა ი. ბ. სტალინის ავადმყოფობის შეუქცევადი ხასიათი იმ მომენტიდან, როცა წარმოიშვა სისხლის ჩაქცევა ტვინში. ამიტომ მკურნალობისათვის მიღებულმა ენერგიულმა ღონისძიებებმა ვერ მოგვცა დადებითი შედეგი და თავიდან ვერ აგვაცილა საბედისწერო დასასრული.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. ფ. **ტრეტიაკოვი**,

კრემლის სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს უფროსი ი. ი. **კუპერინი**,

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ნ. **ანიჩკოვი**,

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი მ. ა. **სკვორცოვი**,

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ა. ი. **სტრუკოვი**,

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ს. რ. **მარდაშევი**,

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი პათოლოგ-ანატომი პროფესორი ბ. ი. **მიგუნოვი**,

პროფესორი ა. ვ. **რუსაკოვი**,

დოცენტი ბ. ნ. **უსკოვი**.

## მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს მოსკოვში ამა წლის 6, 7, 8 და 9 მარტს გლოვის დღეებად და იუწყება, რომ ამ დღეებში ყველა სპექტაკლი, კინოსეანსი, კონცერტი და სხვა გასართობი ღონისძიება მოსკოვში მოხსნილია.

**მოსკოვის საბჭოს აღმასკომი.**

მოსკოვი, 1953 წლის 6 მარტი.

## გორი ამ დღეებში

### „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან

... გლოვობს გორი თავისი უსაყვარლესი შვილის — მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის დაკარგვას...

...ნათელთაღებიანი პავილიონის მარმარილოს კოლონებს წითელი და შავი ქსოვილის ვიწრო ზოლები შემოგრაგნია, ძაძა აქვს შემოხვეული პატარა სახლის რიკულებიანი აივნის ხის სვეტებს.

ქარი არხევს ძაძაშემოვლებულ წითელ დროშებს პავილიონის თავზე, შესასვლელთან, სვეტისთავებზე...

აქ, ამ სახლში დაიბადა ის ადამიანი, ვინც ყველაზე ძვირფასი და საყვარელია მსოფლიოს ყველა მშრომელისათვის — დიდი სტალინი.

დიდ მწუხარებას მოუცავს გორი. მკაცრად, მწუხარედ გამოიყურება მუდამ მხიარული და ლამაზი ქალაქი. წარბშეკრულნი, დარდისაგან დადუმებულნი ნელი ნაბიჯით მიჰყვებიან სტალინის ქუჩას მუდამ სიცოცხლით-სავსე გორელები.

გლოვობს გორი...

საბჭოთა ადამიანებისათვის ყველაზე უმძიმეს ამ მომენტში ხალხის ნაკადი დაუსრულებლივ მიემართება ისტორიული სახლისაკენ, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა ბელადმა. უდიდესი პატივისცემის გრძნობითა და სიყვარულით ათვალიერებენ ახალგაზრდები და მოხუცები უბრალოდ მორთულ პატარა სახლის მრავალჯერნახულ უძვირფასეს რელიკვიებს — ტახტს, სარკეს, პატარა სკივრს, დოქსა და სხვა ნივთებს.

უსაყვარლესი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული დიდი მწუხარების, ლენინ — სტალინის საქმისადმი ღრმა ერთგულების სიტყვებით აივსო 6 მარტს სტალინის სახლ - მუზეუმის მნახველთა შთაბეჭდილების წიგნი. მშრომელები ფიცს სდებენ ძვირფასი ადამიანის წინაშე, რომ სიკვდილამდე იბრძოლებენ იმ საქმის განხორციელებისათვის, რისთვისაც დიდი ბელადი იბრძოდა.

აი ჭაღარა გორელი ილია კაპანაძე, რომელიც გორის იმავე სასულიერო სასწავლებელში, თბილისის იმავე სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, სადაც სწავლობდა ამხანაგი სტალინი.

მღელვარებისაგან აცახცახებული ხელით ძლივს გამოჰყავს მას ასოები:

„არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი თავზარდამცემი მომენტი, ისეთი მწუხარება, რომ გონება გეხშობა, ენა გიდუნდება, რომ გამოთქვა შენი გრძნობა და განცდა. აუტანელია ის მწუხარება, რომელსაც განვიცდი იმ დიდი ადამიანის დაკარგვის გამო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ხალხის კეთილდღეობას. ეს მწუხარება მით უფრო მიასკეცდება, რომ მომსწრე ვარ მისი ბავშვობის წლებისა, მისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებისა".

... ჯერ არც კი დამთავრებულიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ცნობის გადმოცემა რადიოთი, რომ შთაბეჭდილებათა წიგნში ს. ლუნევის გამარჯვების რწმენით აღსავსე შემდეგი სიტყვები ჩაიწერა: ვფიცავ, მთელ ჩემს სიცოცხლეს მოვახმარ კომუნისტური საზოგადოების აშენებას!

გორელი მოსწავლეები, რომლებსაც გორის მშრომელებთან ერთად წილად ხვდათ დიდი ბედნიერება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ხმა მიეცათ მთელი მოწინავე კაცობრიობის ბელადისათვის, დიდი სტალინისათვის, მშობლიური მამისა და მასწავლებლის უკვდავ სახელს ფიცავენ და პირობას დებენ, რომ მტკიცედ იბრძოლებენ კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულით, გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვებით არის გამთბარი ყოველი ჩანაწერი, ყოველი წინადადება, ასეთები კი შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალია. სტალინისადმი სიყვარულით არის განათებული თვითეული სტრიქონი კორეელი მწერლის, ფრანგი ფეიქრების, უნგრელი მსახიობებისა, რომლებმაც სულ რამდენიმე დღის წინათ ინახულეს პატარა სახლი გორში.

... შეწყდა დაზგების ხმაური ბამბეულის კომბინატში. საქსოვი საამქროს უზარმაზარი დარბაზისაკენ წამოვიდნენ დანარჩენი საამქროების ფეიქრები. დაიწყო სამგლოვიარო მიტინგი.

საამქროში სიჩუმე ჩამოვარდა... ასობით ცრემლმორეული თვალი შეჰყურებს ტრიბუნას. მათი მკაცრი სახეები მეტყველებენ, რომ მზად არიან უფრო მტკიცედ დაირაზმონ საბჭოთა მთავრობის, მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო. ბოლომდე გაჰყვნენ პარტიას დიადი მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

— ამხანაგმა სტალინმა, — ამბობს კომკავშირელი მქსოველი მაყვალა სახვაძე, — მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნიზმის დიადი საქმისადმი თავდადებულ სამსახურს. სტალინის გარდაცვალებამ უდიდესი მწუხარება გამოიწვია თვითეული ჩვენგანის გულში. მაგრამ ჩვენ, გორელი ფეიქრები, კიდევ უფრო მეტად შევამჭიდროებთ ჩვენს რიგებს, თავდადებული შრომით განვამტკიცებთ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებას.

ამხ. მ. სახვაძე სიტყვას იძლევა, რომ ყოველთვიურ დავალებას 120-125 პროცენტით გაანაღდებს.

მრთველი ა. აგაფონოვა, მქსოველი ჟ. ხარაზიშვილი, ინჟინერი გ. კოპინაშვილი და სხვები ლაპარაკობდნენ თავიანთ უდიდეს მწუხარებაზე, ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ კომბინატის კოლექტივი, რომელიც წარმატებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს, კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობის ტემპს, ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.



ქ. გორი. ი. ბ. სტალინის სახლთან 1953 წლის 6 მარტს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი



ი. ბ. სტალინის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში 1953 წლის 6 მარტს.
ფოტო გ. კვირკველიასი.

## შენს სახელს მარად დიდება

ირაკლი აბაშიძე

ეს რა გლოვის ხმა გვესმის ამ დილით,
ეს რა გლოვის ზარს არისხებს კრემლი?!
ჩვენ არ გვცოდნია სევდა ნამდვილი,
ჩვენ არ გვცოდნია, რა არის ცრემლი.

მაგრამ თვით ცრემლსაც რა შეუძლია?
ის გულის წუხილს ვერ დაგვიამებს;
ო, სევდა მსგავსი ჯერ არ უგრძვნიათ
პლანეტის მართალ ადამიანებს.

ამხანაგებო! ვადიდოთ ბრძენი,
და ჩვენი დღენი ისე გავლიოთ,
ყოველი წუთი, ყოველი წელი
მის უკვდავ საქმეს რომ შევალიოთ.

6. III. 53 წ.

## სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში

არასოდეს არ უმუშავნია ამ ქარხნის კოლექტივს ისე დაძაბულად, ისეთი თავდადებით, როგორც 6 მარტს. თითქოს მანქანა-დანადგარებიც გრძნობდნენ მწუხარებით გულსავსე ადამიანთა განწყობილებას. ინდუსტრიული ხმაური არ მინელებულა არცერთ საამქროში, უხმოდ, თავდახრილნი, განსაკუთრებული სიბეჯითით მუშაობდნენ ყველანი.

...ვიწრო აღმოჩნდა ქარხნის ეზო სამგლოვიარო მიტინგზე მოსულთათვის. ქუდმოხდილნი იდგნენ ათასობით ადამიანები დიდი სტალინის ნათელი, წითელ ჩარჩოში ჩასმული და ძაძაშემოვლებული პორტრეტის წინ.

ტრიბუნაზე ავიდა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ნინოშვილი.

— შეწყდა, — დაიწყო მან, — ლენინის დიდი თანამებრძოლის, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორის, მშობლიური იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გულისცემა...

დამკვიდრებულ სიჩუმეში მკაფიოდ გაისმოდა ორატორის სიტყვები:

— ჩვენი მონოლითური შემჭიდროება ლენინ — სტალინის დიადი დროშის გარშემო, ურღვევი ერთიანობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისა მუდამ იყო, არის და იქნება ჩვენი უძლეველობის საწინდარი. სტალინის სახელი უკვდავია. ეს სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და პროგრესული კაცობრიობის გულში.

პარტიისა და მთავრობის მიმართვის საპასუხოდ მოვუწოდებ ჩვენი ქარხნის კოლექტივს გააძლიეროს შემდევი რევოლუციური სიფხიზლე, გაათკეცებული ენერგიით იმუშაოს სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისცეს ქვეყანას მეტი და უკეთესი ხარისხის შეკეთებული ორთქლმავლები და ვაგონები.

ამხ. ნინოშვილმა სამგლოვიარო მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და პარტიის ყველა წევრისა და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვის წასაკითხავად სიტყვა მისცა ქარხნის უფროსს ამხ. დ. მამაცაშვილს.

ამხ. მამაცაშვილი ტრიბუნაზე შეცვალა ქარხნის სახელოვანმა ადამიანმა, ჩქაროსანმა ხარატმა ი. ჭუმბურიძემ.

— დიდმა სტალინმა, — თქვა მან, — გამოზარდა საბჭოთა ხალხისა და ჩვენი დიადი სამშობლოსათვის, ლენინ — სტალინის საქმისათვის თავდადებული, ბოლომდე ერთგული კადრები, რომლებსაც შესწევთ ძალა მტკიცე სტალინური ნებისყოფით უხელმძღვანელონ ჩვენს ხალხს, კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. ჩვენ, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, ფიცს ვდებთ, რომ არ შევანელებთ შრომის ტემპს, მეტი მონდომებითა და თავდადებით, დიდი სტალინის ნათელი, წარუშლელი ხსოვნით გულში, ვიმუშავებთ კომუნიზმის ასაშენებლად.

სამგლოვიარო მიტინგის ტრიბუნაზე ერთიმეორეს ცვლიან ქარხნის სხვადასხვა საამქროს, სხვადასხვა პროფესიის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა, მოსამსახურეთა წარმომადგენლები — საქვაბე საამქროს საწარმოო უბნის უფროსი ა. ტიურინი, მექვაბე-სტახანოველი ა. კერვალიშვილი, მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელი ელისაბედ მაისურაძე, საქარხნო კომკავშირული კომიტეტის მდივანი ს. მიქაძე, ინჟინერი გ. სიმონიანი და სხვ.

უსაზღვრო მწუხარებასთან ერთად მათს სიტყვებში იგრძნობოდა საბჭოთა ხალხის მომავალ გამარჯვებათა ურყევი იმედი.

— ჩვენი ქარხანა, — აღნიშნავდნენ ორატორები, — ერთ-ერთია იმ ბედნიერ საწარმოთაგან, რომელნიც ატარებენ დიდი სტალინის უკვდავ სახელს. საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშათა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე დიდმა სტალინმა ამ ქარხანაში დაიწყო თავისი რევოლუციური მოღვაწეობა, აქ ჩამოაყალიბა პირველი მარქსისტული წრეები. აქ ასწავლიდა ჭაბუკი სტალინი ჩვენს მუშებს პროლეტარული რევოლუციის სტრატეგიას და ტაქტიკას, ზრდიდა, აწრთობდა და ამზადებდა მათ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენი ქარხნის კოლექტივი განსაკუთრებული სიმწვავით განიცდის უდიდეს დანაკლისს — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ჩვენგან წასვლას.

— მაგრამ, — აცხადებდნენ ისინი, — ჩვენ კვლავინდებური იმედით შევყურებთ მომავალს, ვინაიდან სტალინის საქმე, ლენინ — სტალინის დიადი საქმე უკვდავია. ეს საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს.

— ჩვენი ქარხნის ახალგაზრდები, ჩვენი რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობასთან ერთად, — თქვა ამხ. ს. მიქაძემ, — კიდევ უფრო მტკიცედ დავირაზმებით ლენინ — სტალინის პარტიის გარშემო, უფრო გავაძლიერებთ შემოქმედებითს შრომას, სრული გამარჯვებით დავაგვირგვინებთ იმ საქმეს, რომელიც გვიანდერძა ჩვენმა აღმზრდელმა მამამ და მასწავლებელმა, ჩვენი შეძლებული და კულტურული ცხოვრების შემქმნელმა დიდმა სტალინმა.

## ჩარხმშენებელთა ფიცი

მრავალი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე შეიკრიბა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ფართო ეზოში. ადამიანთა სახეები, რომლებზეც ღრმა გულისტკივილია აღბეჭდილი, სახელდახელო ტრიბუნისაკენ არის მიმართული.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს ხსნის ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ლ. გოგიჩაძე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვის წაკითხვის შემდეგ ამხ. გოგიჩაძე ამბობს:

— ამ მიმართვის საპასუხოდ ჩვენი ქარხნის კოლექტივი უფრო მაღალნაყოფიერს გახდის თავის შრომას, ფართოდ გაშლის სოციალისტურ შეჯიბრებას და მოიპოვებს ახალ საწარმოო გამარჯვებებს, რითაც თავის წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, იმ დიად საქმეში, რომელსაც მთელი თავისი სახელოვანი სიცოცხლე მოახმარა ჩვენმა მშობლიურმა სტალინმა.

— საყოველთაო-სახალხო მწუხარების ამ მძიმე დღეებში, — განაცხადა ქარხნის დირექტორის მოადგილემ ამხ. ქლენტმა, — მთელი საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის გარშემო, მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო შემჭიდროებული, ღრმად დარწმუნებულია, რომ, მიუხედავად თავსდატეხილი დიდი უბედურებისა, ვერავითარი ძალა ვერ შეაფერხებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. გამოვიჩინოთ სრული სიმტკიცე და სიმედგრე, ამხანაგებო, ვიყოთ უდრეკნი და შეურყეველნი, როგორც ამას გვასწავლიდა დიდი სტალინი.

თავის სიტყვაში კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. ქ. ედილაშვილმა გამოხატა ის უსაზღვრო მწუხარება, რაც გამოიწვია ქარხნის ახალგაზრდობაში ცნობამ ამხანაგ სტალინის გარდაცვალების შესახებ.

— ქარხნის ახალგაზრდობა, — თქვა მან, — ულრმესი მწუხარებითა და გულისტკივილით შეხვდა ამ ცნობას. გარდაცვალება ჩვენი ძვირფასი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე კომუნიზმის დიად საქმეს მოახმარა, უმძიმეს დანაკლისს წარმოადგენს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ამ გლოვის დღეებში ჩვენი ქარხნის ახალგაზრდები კიდევ უფრო შევმჭიდროვდებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, უფრო გულმოდგინედ შევისწავლით ლენინ — სტალინის დიად მოძღვრებას, ავამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას და ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ღრმა მწუხარება იგრძნობა უბრალო ადამიანთა, ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა ყოველ სიტყვაში. ადამიანებს სიტყვები აღარ ჰყოფნით იმ მძიმე განცდების გამოსახატავად, რაც მათში გამოიწვია საყვარელი ბელადისა და ბრძენი მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარდაცვალებამ.

— ამხანაგ სტალინის სახელთან, — თქვა სტახანოველმა ხარატმა დ. მარტინოვმა, — დაკავშირებულია ყველა გამარჯვება, რაც საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

უდიდესმა მწუხარებამ მოიცვა საბჭოთა ხალხი, ჩვენი მეგობრები სოციალიზმისა და დემოკრატიის ფრონტის ქვეყნებში. ეს მძიმე დღეები კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს ჩვენს რიგებს, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის რიგებს იმისათვის, რომ ბოლომდე მიიყვანონ დიდი სტალინის საქმე.

მიტინგის დასასრულს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა.

## გავასამკეცებთ ჩვენს ენერგიას ახალი წარმატებების მოსაპოვებლად

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი 6 მარტს დილიდანვე სავსე იყო სტუდენტებით, პროფესორ-მასწავლებლებითა და მუშა-მოსამსახურეებით. სცენაზე საყვარელი ბელადის — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დიდ, ცოცხალი ყვავილებით შემკულ შავარშიიან პორტრეტთან საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიდნენ უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტები, ლენინ — სტალინის იდეებზე აღზრდილი საბჭოთა ახალგაზრდები — ჭაბუკები და ქალიშვილები. სამარისებურ სიჩუმეში უსმენდნენ რადიოგადმოცემას მოსკოვიდან... მსმენელთა სახეებზე დიდი მწუხარების გამომეტყველება იხატებოდა.

დღის 2 საათსა და 50 წუთზე უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ნ. კეცხოველმა გახსნა სამგლოვიარო მიტინგი. მან წაიკითხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ცნობა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების შესახებ.

ტრიბუნაზეა პროფესორი ი. გვერდწითელი.

— საბჭოთა ხალხს, ჩვენს საყვარელ პარტიას თავს დაატყდა დიდი უბედურება. შეწყდა მაჯისცემა უდიდესი ადამიანისა, რომლის სახელთან დაკავშირებულია ყველა ჩვენი გამარჯვება. დიდია დანაკლისი საბჭოთა მეცნიერებისა, რომელთაც დაკარგეს აზროვნების კორიფე, თავიანთი უდიდესი მოამაგე და მეგობარი. სტალინის მიერ აღზრდილი საბჭოთა ადამიანები, მეცნიერი მუშაკები ამ გლოვის დღეებში უდიდესი ერთსულოვნებით დაირაზმებიან საყვარელი ლენინ — სტალინის პარტიის გარშემო, გაასამკეცებენ თავიანთ მოღვაწეობას მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ნ. ვასაძემ თავის სიტყვაში განაცხადა: — საბჭოთა სტუდენტებისათვის ამ უმძიმეს წუთებში გფიცავთ, ძვირფასო სტალინ, გავამართლოთ თქვენი სიტყვები — შენება რომ შესძლო, უნდა ისწავლო — და ჩვენც ვისწავლით, ვისწავლით და ვაშენებთ ისე, როგორც თქვენ მიგვითითებდით.

დიდი ბელადისა და ბრძენი მასწავლებლის გარდაცვალებით გამოწვეული უდიდესი მწუხარება გამოთქვეს თავიანთ ლექსებში ნ. დუმბაძემ, ა. სულაკაურმა, ბ. ბარდაველიძემ, ჯ. ჩარკვიანმა და თ. ჭილაძემ.

ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა, სტალინურმა სტიპენდიატმა ნ. შველიძემ მსმენელებს მოაგონა ი. ბ. სტალინის მიერ 1929 წელს წარმოთქმული სიტყვები: „შეგიძლიათ ეჭვი არ იქონიოთ, ამხანაგებო, რომ მე მზადა ვარ კვლავაც მოვახმარო მუშათა კლასის საქმეს, პროლეტარული რევოლუციისა და მსოფლიო კომუნიზმის საქმეს მთელი ჩემი ძალღონე, მთელი ჩემი უნარი და, თუ საჭირო იქნება, მთელი ჩემი სისხლი, წვეთ-წვეთად“. დიდმა სტალინმა ნამდვილად მთელი თავისი სიცოცხლე მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლას მოახმარა.

საბჭოთა კავშირის გმირმა, სტალინურმა სტიპენდიატმა დ. ჯაბიძემ მოიგონა დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეები, როდესაც სტალინის სტრატეგიული გენია გზას უნათებდა და აღაფრთოვანებდა საბჭოთა მეომრებს ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

— აღარა გვყავს დიდი სტალინი, — თქვა დ. ჯაბიძემ, — მაგრამ თუ ვერაგი მტერი შეეცდება ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების ხელყოფას, სტალინის მიერ მრავალ ბრძოლებში გამოწრთობილი ძლევამოსილი საბჭოთა არმია ალაგმავს გათავხედებულ აგრესორს.

უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჭანუყვაძემ წაიკითხა ტექსტი უნივერსიტეტის კოლექტივის სამძიმრის დეპეშისა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

## თავდადებული შრომის ნიშნით

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამხანაგ სტალინის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი სწრაფად მოედო ოლქის ფაბრიკა-ქარხნებს, შახტებსა და მაღაროებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ახალმშენებლობებს. ქუთაისელებს კარგად ახსოვთ ის წლები, როცა ამხანაგი სტალინი ქუთაისში ეწეოდა დიდ რევოლუციურ მუშაობას, რაზმავდა მშრომელებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშისათვის. აქ დაიწერა მისი ისტორიული „წერილები ქუთაისიდან“.

საავტომობილო ქარხნის საიარაღო საამქროში ათასობით კაცი შეიკრიბა სამგლოვიარო მიტინგზე. მოჩანს ი. ბ. სტალინის დიდი, შავარშიაშემოვლებული პორტრეტი. მიტინგი გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. ჩიხლაძემ. ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს კ. პ. ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე.

— საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა, — ამბობს იგი, — უდიდეს მწუხარებას განიცდიან მშობლიური სტალინის გარდაცვალების გამო. ამხანაგმა სტალინმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობის საქმეს. ქუთაისის ოლქის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, პირობას ვდებთ კიდევ უფრო შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები პარტიის გარშემო და მთელი ენერგიით ვიბრძოლოთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ტრიბუნაზეა ინჟინერი ამხ. ია ნაცვლიშვილი. იგი ამბობს: — დიდი სტალინი თავისი სიცოცხლის მანძილზე მთელ თავის ენერგიასა და გენიას ახმარდა მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს, კომუნიზმის დიად საქმეს. ჩვენი, ავტოქარხნელების, გადაწყვეტილებაა — ამ სამგლოვიარო დღეებში კიდევ უფრო დავირაზმოთ მშობლიური პარტიის ირგვლივ, ჩვენი მამისა და მასწავლებლის საყვარელი სტალინის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

სიტყვას ამბობს ძრავების საამქროს სტახანოველი მუშა ამხ. შ. ჩუბინიძე.

— ძნელია დაიჯერო, რომ ამხანაგი სტალინი ცოცხალი აღარ არის. დიდი სტალინის უკვდავი სახელი ჩაუქრობელი შუქურაა საბჭოთა ხალხისათვის კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. მთელ ჩვენს ძალებს მოვახმართ სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას. უბანი, სადაც მე ვმუშაობ, პირობას იძლევა ყოველდღიური გეგმა შეასრულოს 150-200 პროცენტით.

ამაღელვებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე შასის საამქროს ოსტატი ნ. ხარაზოვი, სატვიფრო საამქროს სტახანოველი ხარატი ა. აგაპოვი და სხვები.

სტალინის სახელობის რიონჰესში შემდგარ სამგლოვიარო მიტინგზე ინჟინერმა ბ. ამაღლობელმა თავისი სიტყვით მთელი სადგურის კოლექტივის გულისთქმა გამოხატა. დიდი სტალინის ცხოვრება, — თქვა მან, — მუდამ იქნება ხალხისათვის, საბჭოთა სამშობლოს აყვავებისათვის თავდადებული სამსახურის მაგალითი. პირობას ვდებთ, რომ საყვარელი სტალინის ნათელი ხსოვნის აღსანიშნავად ყველაფერს გავაკეთებთ კომუნიზმის დიადი საქმისათვის.

მიტინგები გაიმართა აგრეთვე ლიტოპონის, მანქანათმშენებელ და საკონსერვო ქარხნებში, მაუდის, სამკერვალო, საკონდიტრო ფაბრიკებში, რკინიგზის კვანძის საწარმოებში და ქალაქის ახალმშენებლობებზე.

მშრომელები ყველგან უდიდეს მწუხარებას გამოთქვამენ დიდი სტალინის გარდაცვალების გამო და მტკიცე სიტყვას იძლევიან მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის თავდადებული შრომით აღნიშნონ ჩვენი ქვეყნისათვის ეს მძიმე დღეები.

## მშობლიური სტალინის სახელი უკვდავია

ბათუმი. (საკ. კორ.). ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებებისა და საცხოვრებელი სახლების ფასადებზე მოჩანს შავარშიაშემოვლებული საყვარელი ბელადის პორტრეტები და წითელი დროშები. გლოვობს ქალაქი, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ, რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ამხანაგი სტალინი ბათუმის პროლეტარიატს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის დასამხობად რაზმავდა.

სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები შეიკრიბნენ სამგლოვიარო მიტინგზე, რათა გამოეთქვათ თავიანთი უსაზღვრო მწუხარება და მტკიცე გადაწყვეტილება — ენერგიის დაუზოგავად იბრძოლონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის ქარხნის დირექტორი ამხ. ზ. ფირიაშვილი. იგი ამბობს:

— 5 მარტს საღამოს 9 საათსა და 50 წუთზე შეწყდა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის გულისცემა. წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე და ენერგია მშრომელი ხალხის სამსახურს, მუშათა კლასის გამარჯვებას მოახმარა. ამხანაგმა სტალინმა მოგვცა კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა. ჩვენი ქარხნის კოლექტივი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მძიმე მწუხარებას განიცდის დიდი სტალინის გარდაცვალების გამო და ფიცს სდებს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ტრიბუნაზეა მე-16 საამქროს სტახანოველი ზეინკალი ამხ. ს. ოგანეზოვი. იგი საამქროს სახელით ვალდებულებას კისრულობს ვადაზე ადრე შეასრულოს დანადგარების სარემონტო სამუშაოები.

— აღარ არის დიდი სტალინი, მაგრამ ის მუდამ იცოცხლებს პროგრესული კაცობრიობის გულში, — თქვა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ვ. ქირიამ. — დღეს ჩვენ მტკიცე ფიცს ვაძლევთ კომუნისტურ პარტიას, რომ ბოლომდე ერთგულნი ვიქნებით ლენინ — სტალინის პარტიისა, პირნათლად შევასრულებთ კომუნიზმის მშენებლობის დიად სტალინურ პროგრამას.

ქარხნის ახალგაზრდობის სახელით მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა 1-ლი საამქროს სტახანოველმა დ. შაცმა:

— ჩვენ დავიბადეთ და აღვიზარდეთ დიად სტალინურ ეპოქაში. ჩვენ გარემოსილნი ვართ მშობლიური კომუნისტური პარტიის სტალინური მზრუნველობით. ამხანაგი სტალინი გარდაიცვალა, მაგრამ ის ყოველთვის ჩვენთან იქნება.

მოწინავე ოსტატმა, ყოფილმა ფრონტელმა ამხ. ნ. ბელიმ სიტყვის დასასრულს განაცხადა:

— დაე ახსოვდეთ ჩვენს მტრებს, რომ ჩვენ არ დაგვვიწყებია იარაღის ხმარება, და თუ გაბედავენ საბჭოთა ქვეყანაზე თავდასხმას, ჩვენ შევძლებთ დავიცვათ ჩვენი საყვარელი სამშობლოს თავისუფლება და ღირსება.

ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგი შედგა ფანერის ქარხანაში. აქ, ყოფილ როტშილდის ქარხანაში, 1902 წლის თებერვალში დიდმა სტალინმა მოაწყო და ხელმძღვანელობა გაუწია მუშათა ორ დიდ გაფიცვას, რომლებიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ვეტერანმა მუშამ ამხ. მ. ანთაძემ განაცხადა:

— უსაზღვროა ჩვენი მწუხარება მშობლიური სტალინის გარდაცვალების გამო. ჩვენი პარტიისა და ხალხისათვის ამ მძიმე დღეებში ფიცი მივცეთ, ამხანაგებო, პარტიას და მთავრობას, რომ კიდევ უფრო გავამრავლებთ სტალინურ ტრადიციებს, ვიქნებით კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში.

## ჩინეთში სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის მასალებს და ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომებს

**პეკინი**, 5 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო" დღეს იუწყება, თუ როგორ სწავლობენ ჩინეთის პარტიული ორგანიზაციებისა და ჩინეთის ადმინისტრაციული აპარატის კადრის მუშაკები საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის მასალებს.

ბევრმა უკვე დაამთავრა ამხ. მალენკოვის მოხსენების შესწავლა. ამჟამად საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის მასალებს სწავლობს 47 ათასზე მეტი კაცი. საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის მასალების შესწავლა, ნათქვამია ცნობაში, დაეხმარა კადრის მუშაკებს უკეთ გაერკვნენ საერთაშორისო ვითარებაში.

შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ ყველა, ვინც სწავლობს საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის მასალებს, მთავარ ყურადღებას აქცევს საბჭოთა კავშირში ეკონომიკური მშენებლობის გამოცდილების შესწავლას, აგრეთვე მოწინავე საბჭოთა მეთოდების დანერგვას ჩინეთის ეკონომიკურ მშენებლობაში.

ამჟამად ცენტრალური ადმინისტრაციული აპარატისა და სხვა ორგანოების კადრის მუშაკთა მეტი ნაწილი სწავლობს ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში".

## ჩინეთში გამოიცა წიგნი „მოგონებები დიდ სტალინზე"

**შანხაი**, 6 მარტი. (საკდესი). გამომცემლობა „ეპოქამ" შანხაიში გამოუშვა მესამე გამოცემა წიგნისა „მოგონებები დიდ სტალინზე". წიგნი შეიცავს ი. ბ. სტალინის თანამებრძოლთა და მოწაფეთა მოგონებებს მის რევოლუციურ მოღვაწეობაზე ამიერკავკასიაში 1905 წელს.

გაზეთმა „ვენგუიბაომ" გამოაქვეყნა მკითხველთა გამოხმაურება ამ წიგნზე. დიდი სტალინი, ნათქვამია ერთ-ერთ გამოხმაურებაში, მთელი კაცობრიობის მასწავლებელია. „მოგონებები დიდ სტალინზე", წერს მკითხველთა ჯგუფი, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მძიმე პირობებში ხელმძღვანელობდნენ ჩვენი ბელადები რევოლუციას. ამ წიგნის წაკითხვამ განგვიმტკიცა რწმენა, რომ კომუნიზმი გაიმარჯვებს.

## ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა გამოცემა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში

**ბუქარესტი**, 6 მარტი. (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იტყობინება:

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოიცა ასეულ ათასობით ცალად. გამოცემულია ი. ბ. სტალინის თხზულებათა 13 ტომი, ი. ბ. სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" გამოიცა 200 ათასი ცალი საერთო ტირაჟით, ხოლო ი. ბ. სტალინის ისტორიული სიტყვა საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობაზე — 560 ათასი ცალი ტირაჟით.

1952 წლის დამლევს გამოვიდა რუმინულ ენაზე 100-ათასიანი ტირაჟით ი. ბ. სტალინის შრომის „ლენინიზმის საკითხების" მესამე გამოცემა. ასეთივე ტირაჟით დაიბეჭდა ცალკე ბროშურად ი. ბ. სტალინის სიტყვები ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებებზე 1937 წლის 11 დეკემბერს და 1946 წლის 9 თებერვალს.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკური ნაწარმოები — ი. ბ. სტალინის შრომა „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" 200 ათასამდე ცალი საერთო ტირაჟით გამოქვეყნდა რუმინულ, უნგრულ და გერმანულ ენებზე. ი. ბ. სტალინის შრომა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" რუმინულ და უნგრულ ენებზე გამოვიდა 1 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით.

## საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია

**პარიზი**, 5 მარტი. (საკდესი). დღეს პარიზის გარეუბან ჟენვილიეში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია.

**პარიზი**, 6 მარტი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ პარიზის გარეუბან ჟენვილიეში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია.

კონფერენციის პრეზიდიუმში აირჩიეს ჟაკ დიუკლო, ოგიუსტ ლეკერი, მარსელ კაშენი, ეტიენ ფაჟონი, ფრანსუა ბიიუ და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ყველა წევრი. დარბაზი, რომელშიც კონფერენცია მიმდინარეობს, მორთულია კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტებით. სცენის თავზეა ლოზუნგი „მშვიდობა, მშვიდობისათვის ბრძოლა — ასეთია მთავარი ამოცანა". პირველ სხდომას თავმჯდომარეობს მარსელ კაშენი. ხსნის რა კონფერენციას, იგი ამბობს მოკლე შესავალ სიტყვას, რომელშიც აღნიშნავს ამხანაგ სტალინის, როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადისა და მასწავლებლის, სიდიადეს.

კონფერენციის სამუშაო კომისიების არჩევის შემდეგ ვრცელი მოხსენება: „მუშათა კლასისა და ხალხის მასების სათავეში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათა დასაცავად და შეთქმულების ლიკვიდაციისათვის, მუშებისა და ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და დამოუკიდებელი პოლიტიკისათვის, რასაც ესწრაფვის ფრანგი ხალხი" გააკეთა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

კონფერენციის მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში მოყვანილია ჟაკ დიუკლოს მოხსენების ძირითადი მომენტები.

თავისი მოხსენების პირველ ნაწილში დიუკლომ ანალიზი გაუკეთა ომის გამჩაღებელთა პოლიტიკას და ამერიკელი იმპერიალისტების ბარბაროსულ მეთოდებს, აგრეთვე ცხადყო ომის მზადების პოლიტიკის დამანგრეველი ეკონომიკური და ფინანსური შედეგები.

მოხსენების მეორე ნაწილში დიუკლომ ცხადყო სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობიანი მშენებლობის გრანდიოზული წარმატებანი, საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის წარმატებანი და გააშუქა მსოფლიოს ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა საერთაშორისო მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის, აგრეთვე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უდიდესი ამაღლობა.

თავისი მოხსენების მესამე ნაწილში ჟაკ დიუკლო შეეხო ფრანგი ხალხის ბრძოლას ბონნისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, ვერმახტის აღორძინების და ჰიტლერელი რევანშისტი გენერლების უფლებათა აღდგენის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ საჭიროა გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა ისე, როგორც ეს ჩამოყალიბებული იყო ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის გადაწყვეტილებებში.

მომხსენებელმა დასახაითა მასების მრავალი ღონისძიება მშვიდობის დასაცავად და ხაზგასმით აღნიშნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, მუშათა კლასისა და გლეხობის როლი მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მოხსენების მეოთხე ნაწილი შეეხება საფრანგეთის რეაქციის შეთქმულებას რესპუბლიკურ თავისუფლებათა, საფრანგეთის კომუნისტური და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ. დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ყველა მშრომელის მოქმედების ერთიანობა დემოკრატიულ თავისუფლებათა შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

შეეხო რა შემდეგ კაპიტალისტების თავშეუკავებელ მისწრაფებას — მიიღონ მაქსიმალური მოგება, ჟაკ დიუკლომ აღნიშნა უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდა საფრანგეთში, რაც მძიმე შედეგებს იწვევს საფრანგეთის მშრომელი მოსახლეობისათვის.

დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე საფრანგეთის სოფლის მეურნეობის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა. ამასთან მომხსენებელმა ცხადყო, რომ შესაძლებელი და აუცილებელია ბრძოლა მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის და განაცხადა, რომ მუშათა კლასი და მთელი ფრანგი ხალხი დღითიდღე სულ უფრო მეტად იჩენენ მისწრაფებას ძირეულად შეცვალონ ახლანდელი საბედისწერო პოლიტიკა — დოლარის მაგნატებისადმი საფრანგეთის დამორჩილების პოლიტიკა.

მოხსენების უკანასკნელ ნაწილში ჟაკ დიუკლომ ილაპარაკა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ამოცანებზე მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე საფრანგეთში მომავალი მუნიციპალური არჩევნებისათვის მზადებაზე. დიუკლომ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიაში საჭიროა კრიტიკა და თვითკრიტიკა, პარტიის წევრთა იდეოლოგიური დონის ამაღლება. მან თქვა: პარტიამ რომ წარმატებით შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანა, იგი მჭიდროდ უნდა იყოს დარაზმული თავისი ხელმძღვანელობის გარშემო. პარტიის ყველა წევრი, განურჩევლად მათი მდგომარეობისა, მტკიცედ უნდა იცავდეს პარტიის ძირითად პრინციპებს.

დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარტისა და ტიიონის ანტიპარტიული საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლიდან საფრანგეთის კომუნისტური პარტია გამოვიდა კიდევ უფრო გამოწრთობილი, დარაზმული, უფრო ფხიზელი და უნარის მქონე — შეასრულოს თავისი, როგორც მუშათა კლასის პარტიის ამოცანა.

მოხსენების დასასრულს ჟაკ დიუკლომ განაცხადა:

მუშათა კლასთან ერთად, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია თავის პარტიასთან, ჩვენ, ჩავაბამთ რა ბრძოლაში ხალხის ფართო მასებს, შევძლებთ დავიცვათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებანი, როგორც ამას გვირჩევდა ამხანაგი სტალინი და ჩავფუშავთ შეთქმულებას. გაერთიანებს რა თავის გარშემო მძლავრ ერთიან ფრონტს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა და მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში, ჩვენი პარტია შეძლებს მოაწყოს მუშათა კლასის ბრძოლა, რათა დაიცვას დემოკრატიული თავისუფლებანი და ჩაფუშოს შეთქმულება, რათა უზრუნველყოს მუშებისა და მთელი ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რათა მიაღწიოს საგარეო პოლიტიკის შეცვლას, რაც სურს მთელ ფრანგ ხალხს.

## ალბანეთისა და პოლონეთის შეთანხმება საქონელგაცვლაზე

**ტირანა**, 4 მარტი. (საკდესი). ტირანაში ხელი მოაწერეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შეთანხმებას 1953-1955 წლებში საქონელგაცვლისა და გადასახდელების შესახებ.

ალბანეთი პოლონეთში შეიტანს ბიტუმს, ნავთობს, თამბაქოსა და სხვა საქონელს, პოლონეთი ალბანეთს მიაწვდის ორთქლმავლებს, ვაგონებს, ქვანახშირის მრეწველობის მოწყობილობას, საფეიქრო ნაწარმს, მედიკამენტებს და სხვ.

ხელი მოაწერეს აგრეთვე ოქმს ორივე ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

## რუმინელი ქალები — ახალი ცხოვრების აქტიური მშენებლები

**ბუქარესტი**, 4 მარტი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქალი მამაკაცის თანაბრად აქტიურ მონაწილეობას იღებს რუმინეთის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. „ჩვენს ქვეყანაში, — აღნიშნავს რუმინელი ხალხის ბელადი გ. გეორგიუ-დეჟი, — არ არის სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის ისეთი უბანი, რომელიც უცხო ან მიუწვდომელი იყოს ქალებისათვის". რუმინელი ქალები თავდადებით შრომობენ სოციალიზმის მშენებლობებზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, კოლექტიურ და სახელმწიფო სოფლის მეურნეობათა მინდვრებში — ყველგან, სადაც გაჩაღებულია შემოქმედებითი აღმშენებლობითი მუშაობა. თვალსაჩინო შრომითი დამსახურებისათვის 3.700-ზე მეტი ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. 66 ქალი არჩეულია დიდი ეროვნული კრების დეპუტატად და თითქმის 35 ათასი — სახალხო საბჭოების დეპუტატებად და სახალხო მსაჯულებად.

რუმინელი ხალხი ამაყობს თავისი სახელოვანი პატრიოტი ქალებით, როგორიც არიან: ელენე კიშიუ, რომლის ინიციატივით გაჩაღდა ბრძოლა პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მქსოველი ფლორიკა ბოლოვანი, რომელიც მომსახურებას უწევს 100 ავტომატურ საქსოვ დაზგას, ანეტა ბურლაკუ — კონსტანცის ოლქის სოფელ რუნკუს კიროვის სახელობის კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარე, მეურნეობისა, რომელმაც გასულ წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარა ორი ვაგონი მარცვალი, ქიმიკოსი ზოია რიგანი, რომელსაც 1952 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა ნავთობის ჭაბურღილების საბურღავი მღარავი სატეხის შექმნაში მონაწილეობისათვის, და ბევრი სხვა.

რუმინელი ქალები ენერგიულ მონაწილეობას იღებენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. 400-ზე მეტი ქალი მუშაობს უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლებად და ასისტენტებად. კლუჟის უნივერსიტეტის რექტორია რალუკა რიპანი — რესპუბლიკაში პირველი აკადემიკოსი ქალი. უბრალო მოსამსახურის ქალი, იგი ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების პირობებში ვერც კი იოცნებებდა იმ მდგომარეობაზე, რომელიც ახლა უკავია. მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად რალუკა რიპანი დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. იგი არჩეულია დიდი ეროვნული კრების დეპუტატად. თავისი ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის რალუკა რიპანი დაჯილდოებულია „შრომის ორდენით".

მუშათა პარტია და მთავრობა დიდად ზრუნავენ დედისა და ბავშვისათვის. ამჟამად რუმინეთში მუშაობს 1 400 კარგად მოწყობილი სამშობიარო სახლი. საწარმოებსა და დაწესებულებებთან იხსნება ახალი საბავშვო ბაღები და ბაგები.

1952 წელს 130 ათასმა ბავშვმა გაატარა ზაფხულის არდადეგები ბანაკებსა და ჯანმრთელობის კერებში, ხოლო 340 ათასი პიონერი და მოსწავლე იყო ტურისტულ ბანაკებში.

რუმინეთის მშრომელი ქალები ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს აღნიშნავენ შრომის ნაყოფიერების გადიდებით, დავალებათა გადამეტებით შესრულებით, ხუთწლედის 4 წელიწადში შესრულებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის, მშვიდობისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების გაფართოებით. ამ ბრძოლაში რუმინელი ქალები ბაძავენ საბჭოთა ქალების სასახელო მაგალითს.

## პოლონელი ქალები ახალ ცხოვრებას აშენებენ

**ვარშავა**, 4 მარტი. (საკდესი). სახალხო პოლონეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წლითიწლობით იზრდება მშრომელი ქალების როლი. უკვე 1952 წელს პოლონეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, სოფლის მეურნეობის ჩაუთვლელად, 1,5 მილიონზე მეტი ქალი მუშაობდა.

სახალხო ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულია 20 ათასამდე ქალი. მრავალი ათასი ქალი მუშაობს ინჟინრად, ტექნიკოსად, ექიმად, პედაგოგად. უმაღლეს სასწავლებელთა 1.666 მასწავლებელ ქალთა შორის 90 პროფესორია.

მიმდინარე წელს პოლონეთის უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 9.309 ახალგაზრდა სპეციალისტი ქალი.

15 ათასამდე ქალი მუშაობს პასუხსაგებ პოსტებზე სავოევოდო, სამაზრო და სათემო რადა ნაროდოვებში.

პოლონეთის მთავრობა და პოლონელი ხალხი დიდად აფასებენ მშრომელი ქალის შრომას. მარტო 1951-1952 წლებში საწარმოო და საზოგადოებრივ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის 6 ათასზე მეტი ქალი დაჯილდოებულ იქნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენებით. 76 პოლონელი ქალი სეიმის დეპუტატია და 39 — დეპუტატის მოადგილე.

## ალბანელი ქალები ემზადებიან ქალთა საერთაშორისო დღისათვის

**ტირანა**, 4 მარტი. (საკდესი). ალბანელ ქალთა კავშირი აქტიურად ემზადება ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისათვის. მთელ ალბანეთში დაიგზავნა ათასობით პლაკატი, ლოზუნგები, 15 ფოტოგამოფენა, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღისადმი. კავშირმა დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე წარმოებაში ქალების ჩასაბმელად.

ალბანეთის საწარმო-დაწესებულებებში 25 ათასი ქალი მუშაობს; აქედან 4.300 დამკვრელი და სტახანოველია.

## გაიხსნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის მესამე სესია

**ულან-ბატორი**, 5 მარტი. (საკდესი). დღეს საღამოს ულან-ბატორში გაიხსნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი მოწვევის დიდი სახალხო ხურალის მესამე სესია.

სესია განიხილავს სამ საკითხს: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევა მისი წინანდელი შემადგენლობის რწმუნებათა ვადის დამთავრებასთან დაკავშირებით და დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის მიერ მეორე და მესამე სესიებს შორის მიღებულ ბრძანებულებათა დამტკიცება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა მალომჟამცმა.

## აგრესიული ბაზების შექმნის წინააღმდეგ, სუვერენიტეტის ხელყოფის წინააღმდეგ

### პაკისტანის კომპარტიის აღმოსავლეთ ბენგალიის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება

**პეკინი**, 5 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, პაკისტანის კომუნისტური პარტიის აღმოსავლეთ ბენგალიის საორგანიზაციო კომიტეტმა პაკისტანის ყველა პატრიოტულ პარტიას მიმართა მოწოდებით მოაწყონ პაკისტანში ფართო კამპანია, რათა ხელი შეუშალონ პაკისტანს შევიდეს აგრესიულ „შუა აღმოსავლეთის თავდაცვითს ორგანიზაციაში".

განცხადებაში, რომელიც 28 თებერვალს გამოქვეყნდა ბენგალიურ ენაზე გამომავალ ყოველკვირეულ „მატამატში", კომიტეტი აცხადებს, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით ქმნიან შუა აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკს, რათა იმპერიალისტური ინტერესებისათვის გამოიყენონ შუა აღმოსავლეთის ადამიანთა რეზერვები და რესურსები.

შენიშვნა, რომელიც ამას წინათ ამერიკელმა ადმირალმა რაიტმა გააკეთა კარაჩში, რომ იგი იქ ჩავიდა, რათა მოძებნოს ბაზები შეერთებული შტატების არმიისათვის საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, შეფასებულია განცხადებაში როგორც პაკისტანის „ეროვნული ღირსების აშკარა შეურაცხყოფა და სუვერენიტეტის ხელყოფა".

## სლოვაკიის ეროვნული საბჭოს რწმუნებულთა კორპუსის ახალი სტრუქტურა

**პრაღა**, 5 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

მთავრობის სტრუქტურაში და ცენტრალურ დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაციაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ განახორციელა ზოგიერთი ცვლილება რწმუნებულთა კორპუსის სტრუქტურაშიც.

რწმუნებულთა კორპუსის მუშაობის ოპერატიულობისათვის იქმნება რწმუნებულთა კორპუსის პრეზიდიუმი, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და მისი ორი მოადგილისაგან. პრეზიდიუმი უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებას რწმუნებულთა კორპუსში.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ შემდეგი ცვლილებები მოახდინა რწმუნებულთა კორპუსის შემადგენლობაში:

სლოვაკური გაზეთის „პრავდის" პასუხისმგებელი რედაქტორი ანტონინ ნედვედი დაინიშნა რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე; ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ბანკის ქალაქ ბრატისლავის საოლქო განყოფილების დირექტორი პავლე მაილინგი ინიშნება ფინანსების საკითხთა რწმუნებულად; სლოვაკიის აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი იოზეფ გაიდოშიკი — საშენ მასალათა რწმუნებულის პოსტზე. რწმუნებული ონდრეი კლოკოჩი ამავე დროს დაინიშნა სკოლებისა და განათლების საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელად, რწმუნებული იოზეფ გოიჩი — შრომითი რეზერვების სამმართველოს ხელმძღვანელად და რწმუნებული შტეფან გაჟიკი — მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს ხელმძღვანელად. რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარის მოადგილე იოსებ მაიარტანი და რწმუნებულები სამუილ ტაკაჩი და ემილია იანეჩკოვა-მურინოვა გათავისუფლებულ იქნენ მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გამოყენების მიზნით.

მთავრობამ დანიშნა ლიუდოვიტ ზაკოშე სლოვაკიის ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ და სლოვაკიის ეროვნული კრების დეპუტატი კაროლ ფაინორი — სლოვაკიის ეკლესიის საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარედ.

## ამერიკის აგენტების პროცესი ჩეხოსლოვაკიაში

**პრაღა**, 6 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გამოაცხადა, რომ პრაღაში სამხედრო სასამართლომ განიხილა დანიელა კანკოვსკაიასა და მის თანამზრახველთა საქმე, რომლებიც ამერიკის დაზვერვის დავალებით ამზადებდნენ მოღალატე რუდოლფ სლანსკის გაქცევას საზღვარგარეთ.

ყველა ბრალდებულმა აღიარა თავისი დანაშაული.

სასამართლომ ბრალდებულ კანკოვსკაიას მიუსაჯა 13 წლის პატიმრობა, დოუბრავსკის — 16 წლისა და ინემანს — 3 წლის პატიმრობა. ყველა ბრალდებულს მიესაჯა სამოქალაქო უფლებების აყრა, ხოლო კანკოვსკაიასა და დოუბრავსკის — ქონების კონფისკაცია.

## კორეის ამბები

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 5 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი.

## სოციალური დაზღვევის საკითხთა საერთაშორისო კონფერენციაზე

**ვენა**, 4 მარტი. (საკდესი). უკვე რამდენიმე დღეა ვენაში მუშაობას განაგრძობს საერთაშორისო კონფერენცია სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დაცვის გაუმჯობესებისა და გაფართოების საკითხზე. კონფერენციას ესწრებიან 50 ქვეყნის წარმომადგენლები.

ამ კონფერენციის დღის წესრიგშია ორი საკითხი:

1. სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დაცვა, გაუმჯობესება და გაფართოება და მისი შემოღება იმ ქვეყნებში, სადაც იგი ჯერ კიდევ არ არსებობს.
2. კონფერენციის რეკომენდაციების მიღება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საფრანგეთის სოციალური დაზღვევის ორგანოების ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა ანრი რეინომ.

სამ და ოთხ მარტს კონფერენციაზე გრძელდებოდა კამათი ანრი რეინოს მოხსენების გამო.

4 მარტის საღამოს სხდომაზე გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ლი ში (სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაცია), რომელმაც ილაპარაკა იმაზე, რომ ჩინეთის მთავრობა და კომუნისტური პარტია დიდად ზრუნავენ მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, ჩინეთში სოციალური დაზღვევის სწრაფი განვითარებისათვის. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დაზღვეულთა რიცხვი ერთიხუთად გაიზარდა. გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება. სოციალური დაზღვევა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ საწარმოებისა და სახელმწიფოს ხარჯზე.

ჩრდილოეთ როდეზიის დელეგატმა კალუვამ განაცხადა, რომ მთელ ცენტრალურ აფრიკაში ბევრმა არც კი იცის, თუ რას ნიშნავს სოციალური დაზღვევა. იქ მძვინვარებს ტუბერკულოზი, მალარია, დიზენტერია, ვენერიული დაავადებანი და მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებენ. ავადმყოფ მუშებს კი არ მკურნალობენ, არამედ სამუშაოდან ითხოვენ.

ჩვენი ქვეყნის ხალხები, განაგრძო კალუვამ, სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ გადამწყვეტი ბრძოლის გაუჩაღებლად ისინი ვერ მიაღწევენ ცხოვრების უკეთეს პირობებს. ამიტომ ისინი იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, სოციალური დაზღვევის შემოსაღებად ყველა მომუშავისათვის, კანის ფერის მიუხედავად.

არგენტინის წარმომადგენელმა ისკარომ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობენ კაპიტალისტები შეკვეცონ მუშათა და მოსამსახურეთა ისედაც უმნიშვნელო უფლებები. ბევრი მუშა სრულიად მოკლებულია პენსიებსა და დახმარებას. შემდეგ მომხსენებელმა განაცხადა, რომ არგენტინელი მშრომელები სოციალური დაზღვევისათვის ბრძოლას უკავშირებენ ბრძოლას მშვიდობისათვის, საომარი მზადების წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა, განაგრძო ისკარომ, მივაღწიოთ ისეთსავე უფლებებს, როგორიც დიდი საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს აქვთ.

აზიის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში სოციალური უზრუნველყოფის საკითხებისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ნიოტომ (ინდონეზია). მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა მდგომარეობა ამ ქვეყნებში განუწყვეტლივ უარესდება. იზრდება უმუშევართა რიცხვი. იაპონიაში სამუშაო და პური არა აქვს 10 მილიონ კაცს, ინდოეთში — 2 მილიონს, ინდონეზიაში — 15 მილიონ კაცს.

ელემენტარული სანიტარული პირობების უქონლობა იწვევს დაავადებათა უმაგალითო ზრდას. თურქეთში ტუბერკულოზით დაავადებულია 10 მილიონი კაცი. იქ ამ ავადმყოფობით ყოველწლიურად კვდება 100 ათასამდე კაცი. ირანში, სადაც მოსახლეობა 16 მილიონ კაცს შეადგენს, მხოლოდ 1.500 ექიმია, მალაიაში 60 ათას კაცზე მოდის 1 ექიმი, ინდონეზიაში მხოლოდ 60 ათასი საავადმყოფო საწოლია, მაშინ როცა მოსახლეობა 70-75 მილიონ კაცს შეადგენს.

ამის შედეგად აზიის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში სიკვდილიანობამ კოლოსალურ ოდენობას მიაღწია. ბომბეიში (ინდოეთი) 1941 წლიდან 1950 წლამდე დაიბადა 328 ათასი ბავშვი, ამათგან 221 ათასი მოკვდა ერთი წლის ასაკამდე.

უსაშიშროების ტექნიკის უქონლობის გამო წარმოებაში განუწყვეტლივ მატულობს უბედური შემთხვევათა რიცხვი. მაგალითად, ინდოეთში დაშავებათა რაოდენობა საწარმოებში 1946 წლის 57.100-დან გაიზარდა 75.600-მდე 1949 წელს. იაპონიაში 1950 წელს საწარმოებში მომხდარ უბედურ შემთხვევათა შედეგად დაიღუპა 400 ათას კაცზე მეტი.

ნიოტომ განაცხადა, რომ სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში თვითეული ნაბიჯის წინ გადადგმას აზიის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელები ახერხებენ მხოლოდ კოლონიურ ხელისუფალთა, მთავრობათა და მეწარმეთა წინააღმდეგ მძიმე ბრძოლის შემდეგ. მან აღნიშნა, რომ სოციალური უფლებებისათვის ბრძოლაში ებმებიან ხალხის სულ უფრო ფართო ფენები — სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მუშები, მოსამსახურეები და სხვ.

კონფერენციაზე გამოვიდნენ აგრეთვე საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, დანიისა და ალჟირის დელეგატები.

## ბრაზილიელი ხალხი პატივსა სცემს ელიზა ბრანკოს

**მონტევიდეო**, 5 მარტი. (საკდესი). ბრაზილიელი ხალხი პატივსა სცემს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატს ელიზა ბრანკოს.

გაზეთი „იმპრენსა პოპულარი" იუწყება, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის ეროვნულმა კომიტეტმა მიიღო მოაწყო ელიზა ბრანკოს პატივსაცემად. კომიტეტის თავმჯდომარემ აბელ შერმონტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ელიზა ბრანკო სიმბოლოა ბრაზილიელ ქალთა გმირობისა და მათი გადაწყვეტილებისა — თავიდან აიცილონ ახალი მსოფლიო ომი.

ელიზა ბრანკოს პატივსაცემ მიტინგს, რომელიც გაიმართა რიო-დე-ჟანეიროში ბრაზილიის პრესის ასოციაციის შენობაში, დაესწრნენ ბრაზილიის დედაქალაქის ყველა პროგრესული ორგანიზაციის წარმომადგენლები, ეროვნული კონგრესის დეპუტატები, ქალთა და ახალგაზრდობის მოძრაობის მონაწილენი, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ხელმძღვანელები.

ელიზა ბრანკოსათვის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭების გამო რიო-დე-ჟანეიროს მუშათა გარეუბან კაქსკადურაში, დემოკრატიული ასოციაციის შენობაში გაიმართა სახალხო დღესასწაული.

გულთბილად მიიღეს სახელოვანი ბრაზილიელი პატრიოტი ქალი სან-პაულოელმა ქალებმა. სან-პაულოელ ქალთა ფედერაციის შენობაში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. საღამო გადაიქცა სან-პაულოს პროგრესული საზოგადოებრიობის საპროტესტო დემონსტრაციად ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო შეთანხმების წინააღმდეგ.

ელიზა ბრანკოს პატივსაცემი მიტინგები გაიმართა ბრაზილიის ბევრ ადგილას.

## ბენილუქსის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავება

**ბრიუსელი**, 5 მარტი. (საკდესი). პრესა იუწყება, რომ ეგრეთწოდებული ბენილუქსის შიგნით (ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი) გამწვავდა წინააღმდეგობანი. ჰოლანდიის საფეიქრო მრეწველობის მეწარმენი შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ ბელგიის ხელისუფლებმა მიიღეს ახალი ღონისძიებანი ჰოლანდიის ქსოვილების შემოზიდვის შეზღუდვისათვის. ბელგიის გაზეთმა „სუარმა" ამ დღეებში გამოაქვეყნა ცნობა, რომ ბელგიელმა მეწარმეებმა მოითხოვეს 50 პროცენტით შეიზღუდოს ჰოლანდიის ქსოვილების შემოზიდვა. ეს მოთხოვნა აღნიშნავს „დე ვაარჰეიდი", დიდ ზიანს აყენებს ჰოლანდიის ინტერესებს.

ჰოლანდიის ქალაქ ტერნეიზენის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ზევს-ფლანდერენმა ამ დღეებში ილაპარაკა ბენილუქსის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავების შესახებ და თქვა, რომ „რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რომ ბენილუქსს არა აქვს არავითარი პერსპექტივა. გარიგება, რომელიც მრავალი წლის წინათ მოხდა, ისევ მხოლოდ გარიგებად რჩება".

განსაკუთრებით მკვეთრი პროტესტები გაისმის ჰოლანდიაში ქვანახშირისა და ფოლადის ეგრეთწოდებული ევროპის გაერთიანების მოქმედებასთან დაკავშირებით. ჰოლანდიაში ამ გაერთიანების საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდება ქვანახშირის ფასები.

გაზეთი „დე ვაარჰეიდი" წერს, რომ ეგრეთწოდებული „შუმანის გეგმა ლახვარსა სცემს ჰოლანდიას" და რომ ჰოლანდია იძულებულია ქვანახშირი ძვირად იყიდოს ამერიკელებისაგან.

როგორც ცნობილია, 28 თებერვალს ლიეჟში კვლავ გაიმართა ბენილუქსის ქვეყნების მინისტრთა თათბირი, რათა ჩიხიდან გამოსავალი გამოენახათ. მაგრამ, როგორც პრესა აღნიშნავდა, ეს კონფერენცია სრული მარცხით დამთავრდა.

## იტალიელ მშრომელთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის

**რომი**, 4 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, პონტედერში (პიზას პროვინცია) მანქანათმშენებელი ქარხნის „პიაჯოს" 3.500 მუშამ გუშინ მოაწყო ექვსი საათის გაფიცვა. მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას და ავანსის დაუყოვნებლივ მიცემას. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო ქარხნის ყველა მუშამ.

## პოლიციის თარეში ინდოეთში

**დელი**, 5 მარტი. (საკდესი). 4 მარტს შეიარაღებული პოლიცია შეიჭრა ინდოეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ბიუროს შენობაში და ქუჩაში გამოყარა ინდოეთის პარლამენტის კომუნისტი დეპუტატების მთელი ქონება, ქაღალდები და პირადი ნივთები. პოლიციის თავდასხმა მოხდა იმ მომენტში, როცა ფრაქციის ყველა წევრი პარლამენტის სხდომაზე იყო.

კომუნისტური ფრაქციის საპარლამენტო ბიუროს შენობა დალუქულია და მას შეიარაღებული პოლიციის გაძლიერებული რაზმები იცავენ.

კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა სუნდარაიამ მტკიცე პროტესტი განაცხადა პოლიციის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ.

## ინგლისელ კოლონიზატორთა ტერორი კენიაში

**ლონდონი**, 5 მარტი. (საკდესი). 4 მარტს კოლონიების მინისტრმა ლიტლტონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ 1952 წლის 20 ოქტომბრიდან 1953 წლის 25 თებერვლამდე დაპატიმრებულ იქნა 61.907 ზანგი, რომელთაგან 3.043 კაცი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. 58.864 ზანგი დაკავებულ იქნა „შესამოწმებლად". ამის შემდეგ 39 ათასი ზანგი გაათავისუფლეს, ხოლო 17.613 კაცი სამართალში მისცეს. დანარჩენი ზანგები დაპატიმრებული არიან და გასამართლებას ელოდებიან.

## უმუშევართა დემონსტრაცია კოპენჰაგენში

**კოპენჰაგენი**, 4 მარტი. (საკდესი). გუშინ კოპენჰაგენში გაიმართა დემონსტრაცია. მასში მონაწილეობა მიიღეს შავი მუშების პროფკავშირის წევრებმა, რომლებსაც სამუშაო არა აქვთ. დემონსტრაციის მონაწილენი გაემართნენ რატუშისაკენ და ქალაქის ხელისუფალთ წარუდგინეს მოთხოვნა სამუშაოს მიცემის შესახებ.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-06-88, მშრომელთა წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81; გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-73.

უე 00742

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".